ხელშეკრულება № 36
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 2023 წელი

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ კოლეჯი ,,განთიადი“** (შემდგომში-შემსყიდველი) დირექტორის ანა დათუაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს ,,ნინო“** (შემდგომში-მიმწოდებელი) დირექტორის ალექსანდრე უტმაზიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამისთვის **,, სამკერვალო წარმოება'', მოდულებისთვის: ,,ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება'', ,,სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა''**, სასწავლო პრაქტიკისთვის ქსოვილების და სამკერვალო აქსესუარების შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

№	საქონლის დასახელება	დანაყოფის კოდი	რაოდენობა და განზ. ერთ	ერთ.ფასი	ჯამი	შენიშვნა
1	კოტონ ატლასი	19211000	20 მეტრი	15	300	ქვედაბოლოსთვის
2	კოტონ ატლასი	19211000	4 მეტრი	15	60	ღია იასამნისფერი
3	კოტონ ატლასი	19211000	3 მეტრი	15	45	შავი
4	კოტონ ატლასი	19211000	2,5 მეტრი	15	37,50	მწვანე
5	საკაბე ქსოვილი	19211100	20 მეტრი	15	300	
6	საშარვლე ქსოვილი	19211100	15 მეტრი	18	270	
7	ქსოვილი (აბრეშუმი)	19211000	15 მეტრი	12	180	კოფთისთვის
8	წებოვანი შუასადები	19211000	10 მეტრი	6	60	თეთრი
9	წული	19211000	4 მეტრი	6	24	(ღია ვარდისფერი)
10	ქსოვილი (არმანი)	19211100	7 მეტრი	18	126	ღია ვრდისფერი
11	ქსოვილი (არმანი)	19211100	4 მეტრი	18	72	შინდისფერი
12	ქსოვილი (არმანი)	19211100	3 მეტრი	18	54	ვარდისფერი
13	ქსოვილი (გიპიური)	19211000	5 მეტრი	16	80	შინდისფერი
14	შიფონი	19211000	8 მეტრი	12	96	ვარდისფერი
15	ქსოვილი (ორგანზა)	19211000	4 მეტრი	15	60	ღია ვარდისფერი
16	ქსოვილი(პრეზიდენტი)	19211000	2 მეტრი	18	36	თეთრი
					1800.50	
17	კორსაჩკა	18420000	2,5 მეტრი	2	5	
18	ქინძისთავები	18452000	2 კოლოფი	1,5	3	(უთავო)
19	ელვაშესაკრავი	18453000	8 ცალი	1,50	12	გრძელი
20	ელვაშესაკრავი	18453000	12 ცალი	1,50	18	მალული, მოკლე
21	ელვაშესაკრავი	18453000	12 ცალი	1,50	18	შარვლისთვის, მოკლე
22	ელვაშესაკრავი	18453000	12 ცალი	2	24	მალული, გრძელი
					80	
23	ძაფი	19435100	5 ცალი	2,50	12,50	საკერავი
24	ძაფი	19435100	5 ცალი	6	30	ოვერლოკის
25	ძაფი	19435100	1 ცალი	2,50	2,50	ღია ვარდისფერი
26	ძაფი	19435100	1 ცალი	2,50	2,50	ღია იასამნისფერი
27	სუტაჟის ძაფი	19435100	4 მეტრი	0,50	2	
					49.50	
28	ხელის საკერავი ნემსები	39227110	2 კოლოფი	3	6	
					6	
	ჯ ა მ ი ს უ ლ:				**1936**	

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **1936** (ერთი ათას ცხრაას ოცდა თექვსმეტი) ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ მოთხოვნებს

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, თამარ მეფის № 17

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.6. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის (კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერ(ებ)ის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის) დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 29 ივნისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი

ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.2. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარე

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ კოლეჯის განთიადი პროფესიული განათლების მასწავლებელი გიული გიუაშვილი.
14.2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება გულისხმობს შესყიდვის ობიექტის რაოდენობის მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლისთვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. თუ შემსყიდველი ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულო პერსონალს, ის/მათ შრომის ანაზღაურებასა და ხარჯებს უზრუნველყოფს თავად შემსყიდველი.
14.4 ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება მიმწოდებელს.
14.5 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ კოლეჯის ,,განთიადი“ ლოჯისტიკის მენეჯერი/მძღოლი ვაჟა ხადური.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე/დამოწმებულია/დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგენილი იქნება ქართულ ენაზე და დამოწმებული/დადასტურებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

16. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ კოლეჯი ,,განთიადი'' მისამართი - ქ. გორი,ბესიკის ქ. № 2 საიდენტიფიკაციო კოდი - 217890192 საბანკო რეკვიზიტები: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა; ხაზინის ერთ. ანგ მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი: 709177279 ბანკის კოდი: TRESGE22 ტელ: 577 95 73 33 *დირექტორი :* *ანა დათუაშვილი* - Ana Datuashvili 59001042705 Digitally signed by Ana Datuashvili Date: 2023.05.10 15:18:20	**შპს „ნინო“** მისამართი- ქ.თბილისი, თამარ მეფის №17 საიდენტიფიკაციო კოდი - 202906025 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს ,,ლიბერთი ბანკი “ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის № GE74LB0111139624734000 ტელ: 599 58-90-79 e-mail: u_aleko@yaho..com *დირექტორი:* *ალექსანდრე უტმაზიანი* _____

ა(ა)იპ კოლეჯი „გ ა ნ თ ი ა დ ი“

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გორი *10 მაისი, 2023 წელი*

ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორი და შესყიდვების მენეჯერი ვადასტურებთ, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამისთვის **„ სამკერვალო წარმოება", მოდულებისთვის: „ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება", „სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა"**, სასწავლო პრაქტიკისთვის ქსოვილების და სამკერვალო აქსესუარების შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“–ს მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, მიმწოდებლის შპს „ნინო” -ს მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

დირექტორი

ანა დათუაშვილი

Ana Datuashvili 59001042705

Digitally signed by Ana Datuashvili
Date: 2023.05.10 15:18:48

შესყიდვების მენეჯერი

დიანა შემშენოვი

Diana Shemshenovi 59002003120

Digitally signed by Diana Shemshenovi
Date: 2023.05.10 15:19:35